



დავით აღმაშენებლის გამზ. N79
0102 თბილისი, საქართველო
info@heritagesites.ge

**სსიპ საქართველოს კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული
სააგენტო**

05 / ნოემბერი / 2024 წ.

№ 17/4044



KA990190309698424

სსიპ - სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტოს გაყიდვების
მხარდაჭერის სამსახურის უფროსს,
ბატონ ირაკლი ჩიქრაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2024 წლის 30 ოქტომბრის №6/62326 კორესპონდენცია, რომელიც ეხება ქალაქ ქუთაისში, 26 მაისის ქუჩა N74-ში (ყოფ. ჯაფარიძის ქუჩა N124) მდებარე 570.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ 03.03.01.465) განკარგვის საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ 03.03.01.465 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი ექცევა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - „საცხოვრებელი სახლი“ (გის #18087) (საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 16/07/2008 #3/164 ბრძანება) ვიზუალური დაცვის არეალში, შესაბამისად, მასზე ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი რეგულაციები.

დასახელებული კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, ძეგლის ინდივიდუალურ დამცავ ზონად განისაზღვრება ტერიტორია უძრავი ძეგლის გარშემო, რომელიც შედგება ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არეალებისგან და დგინდება ძეგლის ფიზიკური და ვიზუალური დაცვის მიზნით.

ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალი არის ტერიტორია ფიზიკური დაცვის არეალის მიღმა, რომლის ცვლილებაც გავლენას ახდენს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოზე ან/და ძეგლის სრულფასოვან აღქმაზე. ვიზუალური დაცვის არეალში აკრძალულია იმგვარი მოქმედებები, რომლებიც დააზიანებს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს, ხელს შეუშლის ძეგლის ოპტიმალურ ხედვას, მის სრულფასოვან აღქმას ან შეამცირებს მის მნიშვნელობას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქალაქ ქუთაისში, 26 მაისის ქუჩა N74-ში (ყოფ. ჯაფარიძის ქუჩა N124) მდებარე 570.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ 03.03.01.465) განკარგვის შემთხვევაში, დაცული უნდა იყოს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დამცავ ზონებში დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი. ამასთან, უძრავი ქონების შემდგომ განვითარების, მათ შორის, მასზე კანონმდებლობით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების დაგეგმვის შემთხვევაში, საჭიროა, ნებისმიერი ქმედება დადგენილი წესით შეთანხმდეს ყველა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოსთან, მათ შორის, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.

პატივისცემით,

